მულტისექტორული თანამშრომლობის შეთავაზების პაკეტი

შეთავაზების პაკეტი მომმზადდა პროექტის „ინკლუზიური დიალოგი ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ, ორგანიზაცია “ქალები რეგიონების განვითარებისთვის” და “პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო”-სთან პარტნიორობით.

წარმოდგენილი მულტისექტორული თანამშრომლობის შეთავაზების პაკეტი მომზადებული იქნა ორგანიზაციების - “ქალები რეგიონების განვითარებისთვის” და “პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო”-ს მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტის მთავარი მიზანია, პროექტის ფარგლებში ჩატარებული საჭიროებების კველევაზე დაყრდნობით შეიმუშაოს მცირე საპროექტო იდეები კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას კერძო სექტორთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტების მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგელნელთა საჭიროებების მოგვარება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების კარგი მაგალითების შექმნა.

შესავალი

ბიზნესის (კორპორაციული) სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility) ნიშნავს კომპანიის მიერ მუდმივი ვალდებულების აღებას, რომ საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით განახორციელებს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას და ამავდროულად კომპანიის პერსონალის, მათი ოჯახებისა და ზოგადად ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ხარჯი თუ საქველმოქმედო აქცია. აქ საუბარია დაგეგმილ და რეგულარულ აქტივობებზე, რომელიც სისტემური ცვლილებებისა და საზოგადოებაში ბიზნესის როლისა და ფუნქციის უკეთ დამკვიდრების მიზნით ხორციელდება.

სოციალური პასუხისმგებლობის მხარდამჭერები თვლიან, რომ ბიზნეს კომპანიების წარმატება მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით არ უნდა გამოხატებოდეს. ისინი ვალდებულნი არიან იზრუნონ საზოგადოებაზე. კომპანიებს უფრო დიდი წარმატების მიღწევა შეუძლიათ, თუ ისინი გარკვეულ ინვესტიციას ჩადებენ საზოგადოებაში, რომლის ნაწილიც თავად არიან და გააძლიერებენ მომხმარებელს, რომელიც, თავის მხრივ, კომპანიის წარმატების გარანტიას წარმოადგენს.

1. პრობლემების ზოგადი ანალიზი

1.1. ზესტაფონისა და ბაღდათის თემში არსებული სოციალური პრობლემები და საჭიროებები:

ბაღდათის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში, ტრენინგების მსვლელობისას, რომელშიც გამოყენებული იყო ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდოლიგია, პრეზენტატორების მიერ გამოთქმული პრობლებებისა და საჭიროებების ფონზე გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლების აფერხებენ მათ ჩართულობას ინკლუზიურ დიალოგში და, შესაბამისად, მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში გარკვეული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად რესურსი არასაკმარისია. მონაწილეთა მიერ, ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის უმუშევრობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მაღალი მაჩვენებელი და მიგრაცია (როგორც სოფლებიდან დიდ ქალაქში, ისე საზღვარგარეთ გადინება) ფიქსირდება. აქვე აღსანიშნავია, რომ არსებობენ ისეთი ოჯახები, რომლის წევრებიც

დასაქმებულნი არიან საჯარო სამსახურში და ამასთან, ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ მიუხედავად დასაქმების სტატუსისა, შემოსავალი ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი ოჯახებისათვის და არსებული ვითარება იძულებულს ხდის მათ, სხვა პარალელური საქმიანობითაც დაკავდნენ. ასევე ხაზგასასმელია, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ ოჯახებს ექმნებათ პრობლემები მოსავლის რეალიზების კუთხით, რაც მათ იმედგაცრუებასა და ამ საქმიანობის შეწყვეტას განაპირობებს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში კი გამოიკვეთა შემდეგი სოციალური პრობლემები: სიდუხჭირე, სიღარიბე - ნეგატიურ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე, აქვეითებს სოციუმის განვითარების დონეს და ამცირებს ცხოვრების ხარისხის ინდექსს.

უმუშევრობა, ფინანსური და ინსტიტუციონალური პრობლემებიდან გამომდინარე - არამდგრადი შრომის ბაზარი

უსახლკარობა და არასათანდო საცხოვრისი. დღემდე დგას დევნილთა (იგპ) და ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემა.

უნდობლობა, ნიჰილიზმი - საზოგადობა სკეპტიკურად არის განწყობილი არსებული სოციალური პროგრამებისა და შემოთავაზებული სერვისების მიმართ,

2. გამოკვეთილი საჭიროებები ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში

კვლევის შედეგად გამოკვეთილ იქნა, მუნიციპალიტეტებში არსებული აქტუალური პრობლემატიკა და მათ მიერვე დასახულ იქნა გზები, მულტისექტორული თანამშრომლობით მათ გადასაჭრელად:

ბაღდათის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი საჭიროებები:	
პრობლემა 1 :	დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი პროგრამების არ არსებობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის
პრობლემის შინაარსი:	უმუშევრობის დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. ამავე დროს, კვალიფიციური აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მისაღებად არ არის საკმარისი განათლების დონე, შესაბამისად ხარისხიანი განათლების სისტემებზე ხელმიუწვდომომელია.

	პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების საშუალებად. პრობლემას წარმოადგენს განათლების დაფინანსების დაბალი დონეც. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განათლების დაფინანსება იზრდება,საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მცირე დაფინანსება უარყოფითად აისახება განათლების სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების ანაზღაურებაზე, რაც მოტივაციის შემცირებას იწვევს. დღემდე არ არსებობს უმუშევართა ერთიანი რეესტრი, სტატისტიკური კვლევის მონაცემები, პროფორიენტაციის, გადამზადების, მეორადი პროფესიის შესწავლის შესაძლებლობა, მულტისექტორული თანამშრომლობის გამოცდილება
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	შშმ პირები; მრავალშვილიანი დედები; დევნილები; დაუსაქმებელი ახალგაზრდები;
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	კორპორაციული პასუხისმგებლობის გათვალისწინება, ფინანსებით მხარდაჭერა, სამუშაო ადგილების შექმნა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	მულტისექტორული თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბება. მეტი დასაქმებული მუნიციპალიტეტში, შესაბამისად გაუმჯობესებული ცხოვრების დონე და მორწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობა

პრობლემა #2	შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ზრუნვის პროგრამების არარსებობა (შინ მოვლის პროგრამა, ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამა)

პრობლემის შინაარსი:	სოციალური პოლიტიკა არ არის მიმართული ადამიანური რესურსების შესაძლებლობების ამაღლებაზე, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირების - შშმპ და სხვა შესაძლებლობების განვითარებაზე.
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	ფინანსური დახმარება, ინვენტარით/ტრანსპორტით დახმარება,ასევე - მოხალისეობრივი საქმიანობა
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	შშმ პირების, ხანდაზმულებისა და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების გამართული ზრუნვის პროგრამები (შინ მოვლის პროგრამა, ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამა)

პრობლემა #3 :	არაეფექტური სოციალური უზრუნველყოფის სისტემა
პრობლემის შინაარსი:	არსებული სისტემა ვერ ამცირებს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკებს და ვერ უწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. დასახვეწი და გასაუმჯობესებელია სოციალური დახმარების პროგრამები. ასევე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია;
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	ფინანსური დახმარება, ინვენტარით/ტრანსპორტით დახმარება,ასევე - მოხალისეობრივი საქმიანობა

პრობლემების გადაჭრის შედეგი:	გაუმჯობესებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამები. დახვეწილი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია;

პრობლემა #4 :	შშმპ დღის ცენტრის არარსებობა მუნიციპალიტეტში
პრობლემის შინაარსი:	აქტუალურია დღის ცენტრის ფუნქციონირების საჭიროება. გამომდინარე იქედან, რომ ბაღდათის მინიციპალიტეტში რეგისტრირებულია საკმაოდ დიდი ოდენობა შშმ პირებისა, მხოლოდ მცირე მათგანი ახერხებს ქუთაისში ა/ო განათლების, დასაქმებისა და განვითარების ცენტრის დღის ცენტრში სიარულს. ძირითად პრობლემას წარმოადგენს შენობა-ნაგებობის(ფართის) არარსებობა, რისი მოძიებაც უნდა უზრუნველყოს მერიამ .
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	შშმ პირები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	მოძიებული შენობის გარემონტებაში წვლილის შეტანა,როგორც ფინანსურად ასევე - მასალებით და ხელოსნების გამოყოფით. დღის ცენტრის გამართვის შემდგომ სხვადასხვა სახის მხარდაჭერა.
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	შშმპ დღის ცენტრის არსებობა მუნიციპალიტეტში
პრობლემა #5 :	ახალგაზრდული სივრცის არარსებობა (კაფე-ბარი, სტადიონი, ამფითეატრი და ა.შ.) ბაღდათში
პრობლემის შინაარსი:	არ არსებობს ბაღდათში სივრცე, სადაც ახალგაზრდები თავისუფალ დროს ეფექტურად დახარჯავენ
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	ახალგაზრდები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	ფინანსური მონაწილეობა. ინვესტიციის ჩადებით დაინტერესება. თანადაფინანსების

	პრინციპით არასამთავრობო, სამთავრობო ორგანიზაციებმა კერძო სექტორთან ერთად შექმნას შესაბამისი სივრცე ახალგაზრდებისთვის, მოხდეს ასევე სივრცის შესაბამისი ინვენტარებით უზრუნველყოფა
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	ახალგაზრდული სივრცის არსებობა (აშენებული კაფე-ბარი, (ან არსებული რეაბილიტირებული) ამფითეატრი და სტადიონი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი საჭიროებები:

პრობლემა #1 :	ახლადშექმნილი სტუდენტური ოჯახების მხარდამჭერი სერვისის არარსებობა
პრობლემის შინაარსი:	სოციალური პოლიტიკა არ არის მიმართული ადამიანური რესურსების შესაძლებლობების ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების და შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირების (შშმპ და სხვა) შესაძლებლობების განვითარებაზე.
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	ახლადშექმნილი სტუდენტური ოჯახები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	კერძო ბიზნესმა გამოყოს სახელობითი სტიპენდიები ახლადშექმნილი სტუდენტური ოჯახებისათვის.
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	ახლადშექმნილი სტუდენტური ოჯახების მხარდამჭერი სერვისები. კმაყოფილი სტუდენტური ოჯახები

პრობლემა #2 :	მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების მხარდამჭერი პროგრამის (მშობელთა პედაგოგიზაცია, წამახალისებელი ფინანსური დახმარება) არაეფექტურობა
პრობლემის შინაარსი:	მართალია არსებობს მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების მხარდამჭერი პროგრამი (მშობელთა პედაგოგიზაცია, წამახალისებელი ფინანსური დახმარება), თუმცა ძალიან არაეფექტურია მათი არსებობა, გამომდინარე იქედან რომ განისაზღვრება ერთჯერადად, თანხის მცირე ოდენობით
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლები
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების დასაქმება. უზრუნველყოს ფინანსური და მატერიალური დახმარება.
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების შედარებით გაუმჯობესებული ეკონომიური მდგომარეობა

პრობლემა #3 :	ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი
პრობლემის შინაარსი:	ამორტიზებული ტრანსპორტის გამო მგზავრებისათვის შექმნილია არაკომფორტული გარემო, გადახდის მეთოდი მოძველებულია, მოსაცდელები არარსებობს საკმარისად ამ პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, მუნიციპალური ტრანსპორტის შექმნა,
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	მოსახლეობა
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	ტრანსპორტის განახლება ბიზნეს სექტორის მონაწილეობით; ეს ძალიან გლობალური პრობლემაა და კომერციული დაინტერესება თუ არ ექნება ბიზნესს,არა მგონია ამას შეეჭიდოს

პრობლემების გადაჭრის შედეგი:	ქალაქის მასშტაბით ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა.

პრობლემა #4 :	ქ. ზესტაფონში ცენტრალური გათბობის არარსებობა
პრობლემის შინაარსი:	ზესტაფონის მოსახლეობა გათბობის მიზნით ჯერ კიდევ იყენებს შეშის ღუმელებს. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა მაღალმთიანი სოფლების გაზიფიცირება/გამრიცხველიანების მიზნით.
მოწყვლადი ჯგუფის კატეგორია:	ზესტაფონის მოსახლეობა
კერძო ბიზნესის როლი პრობლემის გადაჭრაში:	აღნიშნულ პროექტში ჩართვა, ნაწილობრივ ფინანსური მხარდაჭერა, თავიანთი გამოცდილების გაზიარება. ეს ძალიან გლობალური პრობლემაა და კომერციული დაინტერესება თუ არ ექნება ბიზნესს,არა მგონია ამას შეეჭიდოს. ანუ ეს უფრო კომერციული პროექტია და მასზე მუნიციპალიტეტმა ტენდერი უნდა გამოაცხადოს ალბათ.
პრობლემების გადაჭრის შედეგი:	ქ. ზესტაფონის ცენტრალური გათბობის უზრუნველყოფა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების სათბობ-საწვავად გამოყენების შემცირებას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას რეგიონებში.

რეკომენდაციები:

ზოგადი რეკომენდაციები ბიზნესების ჩართულობის ტიპებზე:

- ფულადი ინვესტირება
- ნატურით ინვესტირება/ტრანსპორტის,შენობის გამოყოფა უფასოდ ან ფასდაკლებით, რაიმეს მასალით, გარკვეული პერიოდი კვებით დღის ცენტრების დახმარება და ა.შ.
- მოხალისეობრივი საქმიანობა;
- თვითდასაქმებულებთან მოლაპარაკება სერვისის გაცვლაზე.

ბიზნესის სარგებელი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობიდან:

- გაუმჯობესებული რეპუტაცია საზოგადოებაში;
- გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა თანამშრომელთა გაზრდილი მოტივაციისა და მყიდველების მხრიდან გაზრდილი ლოიალობის ხარჯზე;
- მოტივირებული და კმაყოფილი თანამშრომელი,რომელსაც ეამაყება ასეთ კომპანიაში მუშაობა;
- გაზრდილი გაყიდვები,იმიტომ რომ სულ უფრო მეტი ადამიანი აქცევს ყურადღებას კომპანიის სოციალურ იმიჯს და ერთნაირი პროდუქტის შემთხვევაში,უპირატესობას მის პროდუქტს ანიჭებს.